

განვადების ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობები

საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში კლიენტს საშუალება აქვს მხოლოდ პარტნიორი ორგანიზაციებისაგან შეიძინოს მომსახურება/პროდუქცია, ხოლო შეძენისათვის ათვისებული თანხა და ვალდებულია დარიცხული პროცენტი გადაიხადოს ყოველთვიური გადახდების სახით.

1. გამოყენებული ტერმინები

- 1.1. საბარათე ანგარიში – ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიში, რომელზეც დაიშვება საკრედიტო ლიმიტი [შემდგომ „საკრედიტო ლიმიტი“] და აისახება ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო საბანკო ბარათით [შემდგომ "ბარათი"] შესრულებული ოპერაციები.
- 1.2. ათვისებული საკრედიტო ლიმიტი - დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში კონკრეტული პროდუქციის/მომსახურების შესაძენად გახარჯული თანხა. ყოველი გახარჯვა გულისხმობს კონკრეტული, დამოუკიდებელი ლიმიტის ათვისებას.
- 1.3. გახარჯული თანხები - დაშვებული საკრედიტო ლიმიტის საფუძველზე კლიენტის მიერ პარტნიორი ორგანიზაციისათვის გადახდილი თანხები პროდუქციის/მომსახურების შესაძენად.
- 1.4. პარტნიორი ორგანიზაცია - მეწარმე სუბიექტი, რომელთანაც ბანკს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი განთავსებულია <http://ge.vtb.ge/personal/loans/fast/436689/>, ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და შეცვლილი სახით განათავსოს მითითებულ ბმულზე.
- 1.5. საპროცენტო სარგებელი - ათვისებულ საკრედიტო ლიმიტის პროცენტული ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით და რომლის თანხობრივი ოდენობა არის უცვლელი, ანგარიშდება ათვისებული ლიმიტის საერთო ოდენობიდან და გარემოება, რომ საპროცენტო სარგებელთან ერთად პერიოდულად [ყოველთვიურად] იფარება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილიც, გავლენას არ ახდენს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურ თანხობრივ ოდენობაზე.
- 1.6. ყოველთვიური გადასახადი - კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ჯამის 1/12 ნაწილი ყოველთვიურად. ამასთან, თუ რამდენჯერმე არის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური გადასახადი დაითვლება თითოეული მათგანის ჭრილში და გადასახადი იქნება გადახდის დღეს.
- 1.7. გადახდის დღე - განისაზღვრება შესაბამისი განაცხადით.
- 1.8. ვადაგადაცილება - გარემოება, როცა ყოველთვიური გადასახადი გადახდილი არ იქნება გადახდის დღის 21 საათამდე.
- 1.9. სამუშაო დღე - წლის ნებისმიერი კალენდარული დღე, გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე დღეებისა.
- 1.10. ვადაგადაცილებული დავალიანება - კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული წინამდებარე პირობით გათვალისწინებული წესით და ვადებში.
- 1.11. ბარათის ბლოკირება - კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევისათვის საბარათე ანგარიშზე ნებისმიერი სახის ოპერაციის წარმოების დროებით შეჩერება [ბარათი თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში].

2. საკრედიტო ლიმიტის ათვისების და დაფარვის წესი

- 2.1. საკრედიტო ლიმიტის საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაციისაგან მომსახურების ან პროდუქციის შეძენისას ჩაითვლება, რომ კლიენტმა ათვისა საკრედიტო ლიმიტი და ათვისებული ლიმიტს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი.
- 2.2. საკრედიტო ლიმიტის ათვისებისთანავე კლიენტს წარმოეშობა ვალდებულება დაფაროს ყოველთვიური გადასახადი გადახდის დღისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კლიენტს დაეკისრება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გადახდა.

- 2.3. ყოველთვიური გადასახადის გადახდისას, გადახდილი თანხიდან ბანკის მიერ ჩამოიჭრება დარიცხული პროცენტის შესაბამისი თანხა, ხოლო თანხის იმ ნაწილით, რომლითაც დაიფარა საკრედიტო ლიმიტი, გაიზრდება საკრედიტო ლიმიტის აუთვისებელი ნაწილის ოდენობა.
- 2.4. კლიენტს უფლება აქვს საკრედიტო ლიმიტის დაშვებიდან 24 თვის განმავლობაში პერიოდულად აითვისოს გაუხარჯავი ლიმიტი, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კლიენტი ახორციელებს მხოლოდ ათვისებული ლიმიტის დაფარვას.
- 2.5. ლიმიტის ყოველი ათვისებისას ყოველთვიური გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება წინამდებარე პირობების 1.6 პუნქტით განსაზღვრული წესით.
- 2.6. გადახდის თარიღისათვის ყოველთვიური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება. კლიენტს ეკისრება ბარათის ბლოკირების საკომისიო [ასეთი არსებობის შემთხვევაში]. ბარათის გააქტიურება მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრული დაფარვისთანავე.
- 2.7. გადახდის თარიღიდან 45 ე დღეს ყოველთვიური გადასახადის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი უქმდება. საკრედიტო ლიმიტის გაუქმება ბანკს ანიჭებს უფლებას შეწყვიტოს წინამდებარე პირობით განსაზღვრული მომსახურება და მოითხოვოს ათვისებული ლიმიტის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს დაუყოვნებლივი დაფარვა.
- 2.8. დავალიანების დაფარვისას პირველ რიგში იფარება დარიცხული პირგასამტეხლო [ასეთის არსებობის შემთხვევაში], საპროცენტო სარგებელი და ბოლოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
- 2.9. დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან:
 - 2.9.1 კლიენტისათვის ცნობილია და ცალსახად ეთანხმება, რომ ყოველთვიური გადასახადის გადახდა ხდება შესაბამისი თანხების კლიენტის მიმდინარე ან სადებეტო საბარათე ანგარიშზე [არ იგულისხმება 1.1 პუნქტით განსაზღვრული ის საბარათე ანგარიში რომელზედაც დაშვებულია საკრედიტო ლიმიტი] განთავსების გზით, საიდანაც მოხდება ბანკის მიერ ყოველთვიური გადასახადის ჩამოჭრა.
 - 2.9.2 თუ გადახდის თარიღისათვის 2.9.1 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშებზე, არ არის ყოველთვიური გადასახადის დასაფარად საკმარისი სახსრები, ბანკი უფლებამოსილია [და არა ვალდებული], რომ გადახდის დღეს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო] ჩამოწეროს წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება 2.8 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
 - 2.9.3 ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის ვადაგადაცილებული დავალიანება ჩამოწეროს კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო], 2.8 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
 - 2.7.4 დავალიანების დასაფარად არ შეიძლება იყოს გამოყენებული შესაბამის ანგარიშზე არსებული ის სახსრები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაიმე სახის საკრედიტო ლიმიტს. აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკის უფლებას, რომ კლიენტის დავალიანების დასაფარად გამოიყენოს კლიენტის სხვა ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები.

3. განსაკუთრებული პირობები

- 3.1. ბარათის დაკარგვის/დაზიანების/ვადის გასვლის/კლიენტის სურვილის შემთხვევაში, მისი განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობა არ აჩერებს პროცენტის/პირგასამტეხლოს დარიცხვას და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

- 3.2. ბანკი და კლიენტი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:
- ა) იმ ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად.
 - ბ) ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან.
 - გ) ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მიუხედავად ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, წინამდებარე პირობების საფუძველზე, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია [პოზიტიური და/ან ნეგატიური], გადასცეს სს „კრედიტ ინფო საქართველოს“ [რეგისტრირებული 14.02.2005 წ. მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის #06/5-51] მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია შესაძლოა გახდეს საჯარო და ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის. ასევე მოიძიოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია აღნიშნული მონაცემთა ბაზიდან.
- 3.3. ბარათთან დაკავშირებით მხარეთა სხვა უფლებები და მოვალეობები ასევე რეგულირდება საბანკო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობებით, აღნიშნულ და წინამდებარე პირობებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე პირობებს.
- 3.4. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბარათზე არსებული ლიმიტის გახარჯვას შეძლებს მხოლოდ პარტნიორი ორგანიზაციებში განთავსებული ბანკის კუთვნილ ტერმინალებში გადახდის განხორციელების გზით.
- 3.5. წინამდებარე პირობების 3.4 პუნქტში მითითებული დაშვების გარდა სხვა ყველა ოპერაცია ბარათზე შეზღუდულია, რაც გულისხმობს, რომ კლიენტს საშუალება არ ექნება ბარათის ან მისი რეკვიზიტების/შესაბამისი საბარათე ანგარიშის გამოყენებით:
- a. შეიტანოს ან ჩარიცხოს თანხა საბარათე ანგარიშზე.
 - b. ნაღდი სახით მიიღოს თანხა.
 - c. განახორციელოს საბანკო ანგარიშიდან თანხების განკარგვა საგადახდო დავალების მეშვეობით
 - d. განახორციელოს კონვერტაციის ოპერაციები
 - e. შეასრულოს ნებისმიერი სახის ტრანზაქცია ინტერნეტის საშუალებით ან/და ლოკალური/საერთაშორისო საგადახდო სისტემის მეშვეობით
 - f. განახორციელოს გადახდა სავაჭრო და მომსახურების ობიექტში განთავსებული ტერმინალების მეშვეობით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. ბანკი უფლებამოსილია:
- 4.1.1. კლიენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
 - 4.1.2. კლიენტის საბარათე ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია.
 - 4.1.3. მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირაოს ან თავდებობის სახით.
 - 4.1.4. ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობები და განათავსოს ისინი შეცვლილი სახით ბანკის ვებ გვერდზე.
 - 4.1.5. ცალმხრივად შეაჩეროს /გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი და კლიენტისაგან მოითხოვოს ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსა და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
 - 4.1.5.1 კლიენტი დაარღვევს წინამდებარე პირობებს.
 - 4.1.5.2 გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.
 - 4.1.5.3 კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისკენ.

- 4.1.5.4 კლიენტი არ მოახდენს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფას ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.
- 4.1.6. გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი, თუ კლიენტმა 6 თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული საკრედიტო ლიმიტით.
- 4.1.7. პირველივე ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის ბლოკირება.
- 4.1.8. უარი განაცხადოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დააკმაყოფილოს მოთხოვნილებაზე ნაკლები ოდენობით.
- 4.1.9. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მესამე პირისათვის დათმობის შემთხვევაში, კლიენტის შესახებ სრული ინფორმაცია გადასცეს აღნიშნულ მესამე პირს.
- 4.1.10. კლიენტის შესახებ ინფორმაცია გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.
- 4.1.11. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. კლიენტის მიერ გაზრდილი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შემდეგ ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას.
- 4.1.12. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის შემცირების შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. შეტყობინების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები მიმართოს საკრედიტო ლიმიტის შესამცირებლად.
- 4.2. კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.
- 4.3. კლიენტი უფლებამოსილია:
- 4.3.1 მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
- 4.3.2 წარადგინოს ბანკის საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოში პრეტენზიები თავსართით განსაზღვრული ფორმებით.
- 4.4. კლიენტი ასევე ვალდებულია:
- 4.4.1 საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური სავალდებულო ყოველთვიური გადასახადის გადახდა.
- 4.4.2 კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
- 4.5. ბანკი ვალდებულია კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობოს ყოველთვიური გადასახადის ოდენობა.
- 4.6. ბანკს ენიჭება უფლებამოსილება კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. კლიენტი ანიჭებს ბანკს უპირობო უფლებას მასზედ, რომ პერიოდულად მიიღოს კლიენტის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.
- 5.2. წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ[ებ]ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.
- 5.3. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის

უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N 205 267 389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

- 5.4. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].
- 5.5. ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს კლიენტს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი [კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით] შესაბამის განაცხადში მითითებულ მისამართზე ან კლიენტის იმ მისამართზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს შესაბამის განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს კლიენტის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად.
- 5.6. შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:
 - 5.6.1 პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის კლიენტისათვის ჩაბარების დღეს.
 - 5.6.2 კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან კლიენტისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
 - 5.6.3 ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან [მისამართიდან] ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
 - 5.6.4 ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.
- 5.7. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი კლიენტზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე კლიენტის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან კლიენტი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა შესაბამის განაცხადში მითითებული კლიენტის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც. ბანკი არ არის

ვალდებული წერილობით შეატყობინოს კლიენტს მისამართის შეცვლის ფაქტი, რადგან კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სათაო დაწესებულებისა და მისი ფილიალების/სერვისცენტრების მისამართები ასახულია შემდეგ ვებ-გვერდზე- www.vtb.ge.

- 5.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის პერსონალური ინფორმაცია გამოიყენოს [1] კლიენტის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის [2] კლიენტის მიერ საბანკო მომსახურების მიღების [3] კლიენტისათვის საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის [4] განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და [5] პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად.
- 5.9. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.